21.12.18

გ.გახარია. კიდევ ერთი მიმართულება ეს გახლავთ დროებითი მოთავსების იზოლატორები, სადაც ფაქტობრივად ინფრასტრუქტურულ ნაწილში გადახალისდა მათი ინფრასტრუქტურული კომპონენტი. დღეის მდგომარეობით ჩვენ თავიდანვე დაგპირდით. არ არსებობს დროებითი მოთავსების იზოლატორი, სადაც არ იყოს ვიდეოსამეთვალყურეოს სისტემა სრულად არ ფუნქციონირებდეს. უფრო მეტიც, დღის მდგომარეობით 24 საათის მაგივრად ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონაცემები ინახება 120 საათის განმავლობაში. ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორების ნაწილში ჩვენ გვქონდა გარკვეული პრობლემები მუდმივი სამედიცინო მოხმარების კონტექსტში. დღეის მდგომარეობით გაიზარდა 7-დან 14-მდე ის დაწესებულებები, სადაც უკვე არსებობს მუდმივი სამეთვალყურეო სამედიცინო მომსახურეობა ხოლო წლის ბოლომდე 2019-ის ბოლომდე ყველა 29 დაწესებულებაში იქნება მუდმივი სამედიცინო მომსახურეობა, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეებისთვის. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ რუსთავის დროებითი მოთავსების იზოლატორში გაჩნდა სპეციალურად არასრულწლოვანებისთვის სივრცე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენთვის ინფრასტრუქტურულ ნაწილში 2019 წელს დაიწყება მშენებლობა ახალი დროებით მოთავსების იზოლატორის, რომელიც განთავსდება ავჭალაში და რომელიც გათვლილი იქნება დაახლოებით 200 ადამიანზე.

ასლის
დამოწმებისათვის